პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 15 აპრილი, 1949 წ. № 73 (8376). ფასი 20 კაპ.

მთელი ძალები მოვახმაროთ ბელადისათვის მიცემული პირობის შესრულებას

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხს ამოცანად დაუსახა უმოკლეს ვადაში აღედგინა საბჭოთა მეურნეობის ომამდელი დონე, აემაღლებინა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და წასულიყო წინ ახალი სამეურნეო აღმავლობის გზით.

ჩვენი ხალხი სასახელოდ ასრულებს ბელადის მიერ დასახულ ამ საპატიო ამოცანებს. ომისშემდგომი ხუთწლედის განვლილი სამი წლის მანძილზე მან არა მარტო მიაღწია, არამედ 18 პროცენტით გადააჭარბა მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების ომამდელ, 1940 წლის დონეს, დიდი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, კაპიტალურ მშენებლობაში, საქონელბრუნვაში და ახლა ერთსულოვანი დარაზმულობით გაგრძელებს ბრძოლას ხუთწლედის გადამდე შესრულებისათვის.

საბჭოთა ხალხის ამ ძლევამოსილ ბრძოლაში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უჭირავთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომლებს. საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობამ, რომელმაც შეაჯამა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის განვლილი სამი წლის მანძილზე მოპოვებული მიღწევები და საბჭოთა მეურნეობის ყველა დარგისათვის შემდგომი მუშაობის გაშლილი პროგრამა დასახა, პირობა მისცა დიდ სტალინს, რომ რესპუბლიკის მრეწველობა ომისშემდგომ ხუთწლედს მიმდინარე წელს შეასრულებს. ბელადისათვის მიცემული პირობის სასახელოდ განაღდებისათვის, ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში საქართველოს მშრომელებმა უკვე მოიპოვეს პირველი წარმატებები. ამას მკაფიოდ ადასტურებს „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული ცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის პირველი კვარტლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა და გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 11 პროცენტით გაადიდა საერთო პროდუქციის გამოშვება. პირველ კვარტალში მაღალ-ნაყოფიერად მუშაობდნენ რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიც არის ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, საქართველოს ქვანახშირის კომბინატი, დაზგათმშენებელი, მანქანათმშენებელი, ცემენტისა და შიფერის ქარხნები, საკავშირო დაქვემდებარების მთელი რიგი სხვა საწარმოები, ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურები. შარშანდელთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა მარგანეცისა და ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება. 25 პროცენტით გადიდდა ლითონმჭრელი დაზგების გამოშვება. კასპის ცემენტის ქარხანამ ერთთორად მეტი პროდუქცია მოგვცა. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, აგარის შაქრის, ქუთაისისა და გორის საკონსერვო ქარხნების, ბათუმის ციტრუსოვანთა კომბინატის მაღალნაყოფიერი მუშაობა.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ხოროცისა და რძის მრეწველობის, კვების, მსუბუქი, საშენ მასალათა, საავტომობილო ტრანსპორტის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროების სისტემაში შემავალ საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შესრულებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ 16 პროცენტით გადააჭარბა გასული წლის პირველ კვარტალში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას. ამიერკავკასიის რკინიგზამ დატვირთვის გეგმა შეასრულა 106 პროცენტით. მთელმა რიგმა სავაჭრო ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს საცალო საქონელბრუნვის კვარტალური დავალების განაღდება. საცალო საქონელბრუნვაში განსაკუთრებული გარდატეხა დაიწყო ფართო მოხმარების საქონლეზე სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების განხორციელების შემდეგ.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მრეწველობის, ტრანსპორტის, კაპიტალური შენებლობისა და საქონელბრუნვის დარგში მოპოვებულ თვალსაჩინო წარმატებათა მიუხედავად, არსებით ნაკლოვანებებსაც ჰქონდა ადგილი. სამრეწველო სამინისტროების მიერ საერთო პროდუქციის კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვანი პროდუქციის გამოშვების გეგმები შეუსრულებელი დარჩა. ცალკეულმა მსხვილმა საწარმოებმა, როგორიცაა თბილისის ორთოქლმავალ-ვაგონშემკეთებელი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნები, ბერიის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟი“, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთი სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკები, ტყვიის პირველი ქარხანა,—ვერ უზრუნველყვეს პირველი კვარტლის დავალებათა შესრულება. შეუსრულებელი დარჩა აგრეთვე კაპიტალური შენებლობის, ამიერკავკასიის რკინიგზაზე გადმოტვირთვის, საცალო საქონელბრუნვისა და საზოგადოებრივი კვების გეგმები.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას საწარმოებში საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით სახალხო მეურნეობისათვის დამატებითი მილიონების განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე კრასნოზოლმელი ფეიქრის ა. ჩუტკიხის ინიციატივას პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ღღითი ღღე ფართოვდება ლენინგრადელთა თაოსნობით დაწყებული მოძრაობა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებისათვის, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საწარმოებთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებისათვის. ყველა ეს ღონისძიება მიმართულია ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

დავრაზოთ მთელი ძალები ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად, საქართველოს ბოლშევიკების მიერ დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის გასანაღდებლად. მეტი წარმატებები მოვიპოვოთ მეორე კვარტალში, მორიგი გამარჯვებებით შეეხვედეთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს!

მეცნიერ პედაგოგთა კადრების მომზადება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება მოეწყოს აკადემიის საკვლევ ინსტიტუტებში მეცნიერ მასწავლებელთა კადრების ასპირანტურული მომზადება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს უფლება მიეცათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში მიავლინონ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა პედაგოგები, რომლებიც საკანდიდატო დისერტაციების დაცვის შემდეგ დაბრუნდებიან თავიანთი რესპუბლიკების პედაგოგიკურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებში სამასწავლებლო და სამეცნიერო სამუშაოზე.

წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკის ასპირანტურაში მიღებულ იქნება 150 კაცი.

ასპირანტებთან მუშაობა დაიწყება 1949 წლის აგვისტოში.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოში

ბავშვთა საზაფხულო დასვენება

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ განიხილა 1949 წლს ბავშვთა საზაფხულო დასვენების მოწყობის საკითხი.

ბავშვთა გასაჯანმრთელებლად, მათი ფიზიკური განვითარების გასაუმჯობესებლად შარშან საწარმო-დაწესებულებებთან პროფკავშირებმა შექმნეს 5.400-ზე მეტი პიონერბანაკი, სადაც მუშა-მოსამსახურეთა ორ მილიონზე მეტმა ბავშვმა დაისვენა.

პროფკავშირების ცენტრალური, სოლქო, საფბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები ამ ზაფხულს პიონერბანაკებში დასასვენებლად გგზავნიან 2.550.000 ბავშვს. პროფკავშირთა რესპუბლიკურმა, სამხარეო, სოლქო, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა დროულად უნდა უზრუნველყონ სადგომების სრული რემონტი, პიონერბანაკების მოწყობა და მათი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პიონერბანაკები გაიხსნება არაუგვიანეს 10 ივნისისა. (საკდსი).

საქართველოს სსრ საბჭოჭიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობა, კაპიტალურ სამუშაოთა და საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1949 წლის I კვარტალში შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

I. მრეწველობა

საქართველოს სსრ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1949 წლის I კვარტალში შესრულებულია 103 პროცენტით. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში I კვარტლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში—104 პროცენტით.

1948 წლის I კვარტალთან შედარებით, საერთო პროდუქცია მთლიანად რესპუბლიკაში 11 პროცენტით გადიდდა. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში ზრდა, 1948 წლის I კვარტალთან შედარებით, შეადგენს 12 პროცენტს, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში—10 პროცენტს.

ცალკე სამინისტროებისა და საწარმოების მიხედვით 1949 წლის I კვარტლის გეგმის შესრულება შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

	1949 წლის I კვარტ. გეგმის შესრულების პროცენტი	1949 წლის I კვარტალი პროცენტებით 1948 წლის I კვარტალთან შედარებით
საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა		
კომბინატი „საქართველოს ქვანახშირი“	102	109
ტრესტი „ჭიათურის მარგანეცი“	108	118
ტრესტი „სოლნაოსანი“	90	91
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	96	74
სპილენძსაყალბინავი ქარხანა	149	99,1
საქენერგო	92	93
ხრამჰესი	126	139
სოხუმჰესი	116	—
ლიტოპონის ქარხანა	100,6	108
კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა	105	132
სტალინის სახელობის ორთოქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა	86	86
ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	105	103
ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	93	72
ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანა	100,5	114
ქარხანა „დაზგა“	106	110
ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა	108	127
კასპის ცემენტის ქარხანა	117	134
შიფერის ქარხანა	114	126
ენგურის ქაღალდის კომბინატი	103	127
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	92	139
სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი	117	182
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	58	85
აგარის შაქრის ქარხანა	181	108
მარგარინის ქარხანა	95	104
გორის საკონსერვო ქარხანა	142	179
ქუთაისის საკონსერვო ქარხანა	153	130
ბათუმის ციტრუსოვანთა კომბინატი	134	105
შამპანური ღვინოების კომბინატი	96	117
თბილისის წისქვილკომბინატი	104	58
ფოთის წისქვილკომბინატი	104	158
ფარმქემქარხანა	102	86
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	104	110
კვების მრეწველობის სამინისტრო	109	105
მათ შორის:		
ტრესტი „საქართველოს ჩაი“	125	112
სამტრესტი	108	116
ტრესტი „საქთამბაქო“	104	79
ტრესტი „საქართველოს ღუდ-ღიმონათი“	120	128
ტრესტი „საქმიწყლები“	110	144
საქპურტრესტი	101	118
„გლავკონდიტერი“	107	122
საპნის ქარხანა	109	120
ზეთსახდელი ქარხანა	91	100,2
რაიონული მრეწველობა	113	121
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	133	126
მათ შორის:		
თბილისის ხორცკომბინატი	180	140
თბილისის მაცივარი	111	303
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	101	104
მათ შორის:		
თბილისის № 1 ტყავეულის ქარხანა	89	92
თბილისის № 2 ტყავეულის ქარხანა	105	112
ბათუმის № 3 ტყავეულის ქარხანა	116	132
თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა	101	141
თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკა	105	130
ბათუმის № 4 ფეხსაცმლის ფაბრიკა	94	119
სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა	107	120
ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	118	111
სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	107	112
თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკა	105	71
თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკა	90	80
ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკა	104	101
ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკა	83	98
თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკა	90	111
საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა	93	82
თბილისის კამოელ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“	119	113
ქუთაისის მაუდის ფაბრიკა	101	94
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა	102	108
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი	100,6	122
ბამბის ფაბრიკა	100,6	95
ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა	95	115
წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	104	99,2
თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	101	108
სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	102	107
მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკა	100,4	99,9
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	100,1	157
მათ შორის:		
ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა	84	103
ბათუმის ფანერის ქარხანა	100,5	151
თბილისის ავეჯის ფაბრიკა	100,5	153
მარელისის ავეჯის ფაბრიკა	72	106
საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტი	103	170
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	105	131
მათ შორის:		
სამტრედიის აგურის ქარხანა	100,7	144
ნოსირის აგურის ქარხანა	134	80
სამტრედიის აგურის ქარხანა	160	100,9
კურსების გრანტის წარმოება	134	32
ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანა „შროშა“	127	135
სურამის კირის ქარხანა	105	100,8
ცხაკაიას კირის ქარხანა	112	83
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	99,3	111
მათ შორის:		
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	101	104
კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა	100,5	98
ლითონკონსტრუქციების ქარხანა	104	104
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა	100,1	109
მომთუთიებელი ქარხანა	100,9	106
საინსტრუმენტო ქარხანა	106	116
მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი	104	106
ცელულოიდის ნაკეთობათა ფაბრიკა	102	146
რაიონული მრეწველობა	93	111
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	1.0	111
მათ შორის:		
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	113	114
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	100,5	117
სარეწაო კოოპერაციის მრეწველობა (1926-27 წლების ფასებით)	99,4	114
მათ შორის:		
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველო	99,2	117
სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციული კავშირი	100,0	107

ცალკეულმა სამინისტროებმა, საერთო პროდუქციის მთელი კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას, ვერ შეასრულეს რამდენიმე მნიშვნელოვანი სახის პროდუქციის გეგმა: მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ—ტყავეულისა და წმინდა აბრეშუმის ქსოვილებისა; კვების მრეწველობის სამინისტრომ—პურ-ფუნთუშის ნაკეთობათა, ღუდის, თამბაქოს, ღვინოებისა და არყის ნაწარმისა; ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ — ძეხვეულისა; საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ—აგურის, კრამიტისა და კირისა; საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციულმა კავშირმა — საწოლების, ლურსმნის, ტყავეულის, ფეხსაცმლის, ბამბეულის ქსოვილების, ზედა ტრიკოტაჟის, წინდის ნაკეთობათა და დახერხილი ხე-ტყისა.

უმნიშვნელოვანესი სახეების სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება 1949 წლის I კვარტალში შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

	1949 წლის I კვარტ. გეგმის შესრულების პროცენტი	1949 წლის I კვარტალი პროცენტებით 1948 წლის I კვარტალთან შედარებით
მარგანეცის მადანი	102	116
ქვანახშირი—სულ	96	110
მათ შორის:		
ტყიბულისა	96	115
ტყვარჩელისა	99,5	105
ახალციხისა	70	96
ნავთი	94	97
დაფქული გუმბრინი	124	132
ბარიტი	100,1	133
ელექტროენერგია:		
რიონჰესი	79	66
ზაჰესი	91	82
ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური	96	131
აწჰესი	98	79
ხრამჰესი	126	139
სოხუმჰესი	116	—
ლითონმჭრელი დაზგები	107	125
მათ შორის:		
კიროვის სახელობის ქარხანა	102	122
ქარხანა „დაზგა“	116	114
სამსხმელო-მექანიკური ქარხანა (შრომითი რეზერვების სამინისტრო)	114	172
საფეიქრო დაზგები	92	103
ცემენტი	114	200
შიფერი	110	121
აგური (საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო)	85	162
კრამიტი (საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო)	43	50
კირი (საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო)	90	99,5
ასანთი (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო)	89	126
დაწებებული ფანერი (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო)	71	95
დახერხილი ხე-ტყის მასალა (სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო)	72	95
სამასალო მერქნის გამოზიდვა:		
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	80	191
სარეწაო კოოპერაცია	51	151
ქაღალდი:		
ენგურქაღალდკომბინატი	100,2	115
თბილისის ქაღალდის ფაბრიკა	106	169
შალის ქსოვილები:		
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	109	115
სარეწაო კოოპერაცია	90	110
აბრეშუმის ქსოვილები:		
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	101	105
სარეწაო კოოპერაცია	128	153
გრეიგი	101	99,5
წინდის ნაკეთობანი:		
სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი	108	244
ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟი“	70	102
სარეწაო კოოპერაცია	92	189
ინვალიდთა კოოპერაცია	57	71
ტრიკოტაჟის საცვლები:		
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	56	62
სარეწაო კოოპერაცია	105	297
ინვალიდთა კოოპერაცია	135	234
ზედა ტრიკოტაჟი:		
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	65	91
სარეწაო კოოპერაცია	62	116
ინვალიდთა კოოპერაცია	49	92
ფეხსაცმელი:		
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	100	124
ბერიას სახელობინ ფეხსაცმლის ფაბრიკა	95	140
სარეწაო კოოპერაცია	55	108
ინვალიდთა კოოპერაცია	68	114
ქრომის ტყავი (მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო)	95	120
საწოლები (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო)	66	72
პინინოები (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო)	101	116
ერგო-კარაქი (ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო)	147	126
მცენარეული ზეთი (კვების მრეწველობის სამინისტრო)	118	81
ხორცი (ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო)	108	100,1
კონსერვები	128	133
მაკარონის ნაწარმი	100,6	81
ფხვნილი შაქარი	180	106
ჩაი მზა აწონილი	124	106
ყურძნის ღვინო (სამტრესტი)	81	178
შამპანური ღვინოები	61	89
პაპიროსი (კვების მრეწველობის სამინისტრო)	104	115
საპონი:		
კვების მრეწველობის სამინისტრო	109	120
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	53	77
სარეწაო კოოპერაცია	67	76

II. კაპიტალური მშენებლობა

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით მიმდინარე წლის I კვარტალში შესრულებულია 82 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა ობიექტებში—81 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა ობიექტებში—89 პროცენტით.

მიმდინარე წლის I კვარტალში შესრულებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ 1948 წლის I კვარტალის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას

(დასასრული მეორე გვერდზე)

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

(დასასრული)

გადააჭარბა 16 პროცენტით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა ობიექტებში—12 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა ობიექტებში—41 პროცენტით.

III. რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა ამიერკავკასიის რკინიგზაზე 1949 წლის I კვარტალში შესრულებულია 106 პროცენტით. 1948 წლის I კვარტალთან შედარებით ზრდა 15 პროცენტს უდრის. ნავთპროდუქტების გადაზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად (125 პროცენტი), რკინიგზამ ვერ შეასრულა ქვანახშირისა (86 პროცენტი) და მარგანეცის მადნის (94 პროცენტი) დატვირთვის გეგმა, მაგრამ ამ ტვირთების მიხედვით 1948 წლის I კვარტალის დონეს გადაჭარბა (ქვანახშირისა—2 პროცენტით, მარგანეცის მადნისა—13 პროცენტით).

საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის გეგმა 1949 წლის I კვარტალში რკინიგზამ 97 პროცენტით შეასრულა.

IV. საქონელბრუნვა

საცალო საქონელბრუნვის 1949 წლის I კვარტალის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 95 პროცენტით.

ცალკეულმა სისტემებმა და მოვაჭრე ორგანიზაციებმა I კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა შემდეგნაირად შეასრულეს:

	გეგმის შესრულების პროცენტი
ბ. საცალო ქსელის საქონელბრუნვა	
ვაჭრობის სამინისტრო	99
მათ შორის:	
მთავარუნივერმაღი	100,1
მთავარგასტრონომი	102
საქართველოს კოორტვაჭრობა	91
თბილვაჭრობა	100,7
თბილკვებვაჭრობა	102
საქვაჭრობა	97
აფხაზვაჭრობა	91
აჭარვაჭრობა	92
ქუთაისვაჭრობა	92
ცეკავშირი	95
სარეწაო კოოპერაციამ	112
ინვალიდთა კოოპერაციამ	63
ბ. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა	
ვაჭრობის სამინისტრო	94
მათ შორის:	
რკინიგზის რესტორანების მთავარი სამმართველო	97
თბილსაზკვების ტრესტი	94
საქვაჭრობა	94
ცეკავშირი	83
სარეწაო კოოპერაციამ	77
ინვალიდთა კოოპერაციამ	41

1949 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების განხორციელების შედეგად საცალო საქონელბრუნვა მარტში, 1949 წლის იანვართან შედარებით, გადიდდა 25 პროცენტით, ხოლო საქონელბრუნვის თვიური გეგმა შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით, კერძოდ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის მიერ—11 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ (ცეკავშირი)—22 პროცენტით.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

მაღალ საუნეხურზე ავიყვანოთ კავშირგაბმულობის მუშაობა

(კავშირგაბმულობის მუშაკთა სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური თათბირი)

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ კავშირგაბმულობის მუშაკებს ამოცანად დაუსახა გადაჭრით გაუჯობესონ ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაობა, გადამჭრელი ზომები მიიღონ რადიოფიკაციის გაფართოებისათვის. ყრილობის მიერ დასახული ამ ამოცანის განხორციელების ღონისძიებათა შემუშავებას მიეძღვნა კავშირგაბმულობის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის თათბირი, რომელიც ამ დღეებში შეიქა. თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულის ამხ. ი. მონიავას მოხსენება კავშირგაბმულობის ორგანოების 1948 წლის მუშაობის შედეგებისა და მიმდინარე წლის ამოცანების შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებმა შარშან შესამჩნევად გაუჯობესეს მუშაობა. გადაჭარბებით არის შესრულებული კაპიტალური მშენებლობის გეგმა. კაპიტალური რემონტის გეგმა შესრულებულია 109,9 პროცენტით, გიგაჩარდა ამონტენტთა რიცხვი. შარშან მუშაობაში კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ მახარაძის, ბოლნისის, გეგეჭკორის, სამტრედიის, გარდაბნის, ჭიათურის, ახალციხისა და სხვა კავშირგაბმულობის კანტორებს.

წარმატებათა მიუხედავად, კავშირგაბმულობის დაწესებულებათა მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. 1948 წლის სახელმწიფო შემოსავლის გეგმა შესრულებულია 94,8 პროცენტით. ჩამორჩა სატელეგრაფო კავშირგაბმულობის და გზავნილების გეგმის შესრულება. ჯერ კიდევ აფგილ სახელმწიფო ქონების გაფლანგვას, დიდია დებიტორული დავალიანება.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმოწერის გასული წლის გეგმა „სოიუზპეჩატის“ საქართველოს განყოფილებამ შარშან 90,6 პროცენტით შეასრულა, ხოლო შემოსავლისა—93 პროცენტით. მოსაშზადებელი მუშაობა და ხელისმოწერის კამპანია წელს შარშანდელთან შედარებით უკეთ ჩატარდა, მაგრამ საჭიროა ამ მუშაობის უფრო გაუმჯობესება და წლიური გეგმის მთლიანად შესრულება, აგრეთვე კონტროლის გაძლიერება ხელისმოწერათაგან ჟურნალ-გაზეთების დროულად და უკლებლივ მიწოდებისათვის.

საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის გასაუმჯობესებლად სერიოზული სამუშაოა შესრულებული. სადღეღამისო კავშირი არსებობს თბილისიდან სოხუმთან, ბათუმთან, ქუთაისთან. ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ სატელეგრაფო კავშირგაბმულობა კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ხშირია დაკავშირების როგორც გადაცემის, ისე აღრეცხატისათვის მათი დაგვიანებით ჩაბარების, ტექსტის დამახინჯების შემთხვევები.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე შიდასარიონო კავშირგაბმულობის, საქალაქო სატელეფონო სადგურების, რადიოფიკაციის, რადიოკავშირგაბმულობის, რადიოგადაცემის, კადრების შერჩევის, მათი განაწილებისა და მომზადების საკითხებსა და ამ მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებს.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კავშირგაბმულობის აჭარის, იფხაზთისა და სამხრეთ ოსეთის სოლელმო კანტორების უფროსებმა ამხ. ჩხიკვაძემ, კუტავამ და შიმშელაშვილმა, ქუთაისის საქალაქო კანტორის უფროსმა ამხ. ჭეიშვილმა, ამბროლაურის, ზესტაფონის, წულუკიძისა და მახარაძის რაიონული კანტორების უფროსებმა ამხ. ბაკრაძემ, საყვარელიძემ, ჯანაშიამ და გოგუამ, კავშირგაბმულობის რწმუნებულის სამმართველოს კადრების განყოფილების გამგემ ამხ. ლაცაბიძემ, თბილისის ავტომატური სატელეფონო სადგურის დირექტორმა ამხ. ჯავახიშვილმა, კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. მელიავამ, ცენტრალური ტელეგრაფის დირექტორმა ამხ. სიჭინავამ, საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო განყოფილების უფროსმა ამხ. მიქელაძემ, თბილისის მე-8 საფოსტო განყოფილების სტახანოველმა დამტარებელმა ამხ. გუგუშვილმა და საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის მეტელეფონემ ამხ. ვასაძემ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სატრანსპორტო განყოფილების გამგემ ამხ. მ. ბალავაძემ.

აქტივმა მქუხარე ტაშით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს.

მისასალმებელი დეპეშები გვიგზავნათ აგრეთვე დიდი სტალინის თანამებრძოლს ამხანაგ ლ. ბერიას და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

თათბირმა მიიღო პრეამბულიი ღონისძიებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ფშანიები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის

11 აპრილს შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მორიგი მეორე პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი „ქალაქ თბილისში საუწყებო საბინაო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. ზამბახიძემ.**

— პატრიოტ და მთავრობა, დიდი სტალინი, — თქვა ამხ. ზამბახიძემ, — უდიდეს ყურადღებას აქცევენ საბინაო მშენებლობას. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლეულის გეგმით ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 42 მილიარდ მანეთზე მეტის ასიგნება. ამით გამოიხატება საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა მშრომელთა სიყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და საარსებო დონის შემდგომი **გაუმჯობესებისათვის.**

სტალინური ხუთწლეულის მანძილზე საბინაო მშენებლობამ ფართო მასშტაბი მიიღო საქართველოშიც. მისი წარმატებანი უშუალოდაა დაკავშირებული ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელთან.

ომისშემდგომი ხუთწლეულის პირველი დღეებიდანვე საქართველოს ბოლშევიკები, ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითებათა თანახმად, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ახალი ძალით შეუდგნენ მრავალმხრივ მუშაობას რესპუბლიკის ქალაქებისა და დაბების საბინაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის ფართო პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად.

მომხსენებელმა მოიყვანა დიდი ფაქტიური და ციფრობრივი მასალა, რომელიც ახასიათებს საბინაო მშენებლობის ზრდას საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე საბინაო ფართობი თბილისში თითქმის ერთიორად გაიზარდა. წლითიწლობით იზრდება საექსპლოატაციოდ გადასაცემი საბინაო ფართობის ოდენობა. მაგალითად, პირველ ომისშემდგომ, 1946 წელს თბილისმა მიიღო 4.288, 1947 წელს—9.655 და 1948 წელს — დაახლოებით 11.000 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. ახლა ქალაქში შენდება 62 დიდი საუწყებო სახლი საბინაო, ადმინისტრაციული და სოციალურ-კულტურული დანიშნულებისა, მათ შორის 44 საცხოვრებელი სახლი. შენდება აგრეთვე ინდივიდუალური სარგებლობის 100 სახლი. ყოველივე ეს ქალაქს მისცემს 52.000 კვადრატულ მეტრ ახალ საცხოვრებელ ფართობს.

მაგრამ საცხოვრებელი ფართობის ზრდა ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩება თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილებას. ეს მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ ბევრ სამშენებლო და სამეურნეო ორგანიზაციას დღემდე არ გაუჩაღებია ბინების მშენებლობა ისეთი ტემპით, რომ უზრუნველყო ახალი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა დაწესებულ ვადებში.

„საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გაჭიანურება, — აღნიშნა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა საანგარიშო მოხსენებაში თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, — გამოწვეულია უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების უყურადღებით დამოკიდებულებით ამ საქმისადმი. არ არის ჯეროვანი ზრუნვა საშენი მასალების მომარაგებისათვის, დაფინანსების უზრუნველყოფისათვის. ნაკლები ყურადღება ეთმობა სამეურნეო მექანიზაციას საბინაო მშენებლობაში. თბილისის კომიტეტი და საქალაქო აღმასკომი არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საუწყებო-საბინაო მშენებლობაში. ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ. აუცილებელია უმკაცრესი კონტროლი გავუწიოთ უწყებათა მუშაობას საცხოვრებელი შენობების მშენებლობის დარგში, შეძლებისამერ დაეხმაროთ მათ და ამასთან მოვთხოვოთ, რომ უფრო ენერგიულად აწარმოონ **საბინაო მშენებლობა“.**

კონფერენციის შემდეგ საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და პარტიის საქალაქო კომიტეტმა უფრო ენერგიულად მოკიდეს ხელი ამ დიდმნიშვნელოვან უბანს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ერთგვარ დადებით შედეგებს მიაღწიეს. საუწყებო **საბინაო** მშენებლობის კვარტალური გეგმა 105,8 პროცენტით შესრულდა.

მაგრამ გასული წლების სერიოზულმა ჩამორჩენამ იმდენად ძლიერი გავლენა მოახდინა სამუშაოთა დამთავრების ვადებზე, რომ ათობით საცხოვრებელი სახლი, მიუხედავად მიმდინარე კვარტალში მშენებლობის ტემპის გაძლიერებისა, ჯერ კიდევ არ არის გადაცემული საექსპლოატაციოდ. მაგალითად, ჯერ კიდევ რვა წლის წინათ დაწყებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველოს საცხოვრებელი სახლი (სამმართველოს უფროსი ამხ. ფრუთე), მშენებლობის უფროსი ამხ. გაბისონია) ამჟამად მზად არის მხოლოდ 78 პროცენტით. იგივე უნდა ითქვას № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის, საქსავთის ტრესტის და სხვა საცხოვრებელ სახლებზე, რომლთა შენებლობა 1940 წელს დაიწყო.

ამხ. ზამბახიძე აღნიშნავს ნაკლოვანებებს სამშენებლო მოედნებზე შრომის ორგანიზაციაში.

იმის მაგალითს, თუ როგორ არ უნდა ხდებოდეს სამუშაოთა ორგანიზაცია, წარმოადგენს სამგორწყალმშენის საცხოვრებელი სახლის სამშენებლო მოედანი. აქ მასალებს ყრიან როგორც მოხვდებათ, ერთადერთი ბეტონ-სარეველა დადგმულია მუშამბისათვის ძალიან მოუხერხებლად, ლენტიანი ტრანსპორტიორი ბეტონს აწოდებს მხოლოდ მეორე სართულს, მაშინ როცა შენობა ხუთსართულიანია. საბურთალოში საქსავთის საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მასალების ზედა სართულებში ატანასთან დაკავშირებული მეტი წილი სამშენებლო პროცესები აგრეთვე ხელით წარმოება. დიმიტროვის სახელობის ქარხნის საცხოვრებელი სახლის სამშენებლო მოედანი ისეა დახერგილი მასალებით, რომ გაძნელებულია არა მარტო მუშაობა, არამედ სიარულიც.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა მშენებლობის ნაკადური მეთოდებიდ დაინერგვის ამოცანებზე. უნდა მოვაღწიოთ, აღნიშნა ამხ. ზამბახიძემ, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა განიასაზღვროს დეტალების აკუმბით და შესაძლებლობის ფარგლებში ეს დეტალები მოედანზე მიბანონ უკვე მზა სახით. მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია უდიდეს შესაძლებლობას ქმნის შენების ტემპის და საჩქარებლად, მშენებლობის გასაიაფებლად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ქალაქის თითქმის არცერთ მშენებლობაზე გამოყენებული არ არის სამუშაოთა ნაკადურ-ჩქარი მეთოდი.

თბილისში საბინაო მშენებლობის მნიშვნელოვან შეფერხებას იწვევს მთელი რიგი საშენი მასალების, უწინარეს ყოვლისა, აგურის ნაკლებობა. ქალაქის შესაძლებლობანი ამ მხრივ შეზღუდულია. აქ მოქმედ აგურის ქარხნებს მხოლოდ 30 პროცენტით შეუძლიათ დაკმაყოფილონ მშენებლობათა მოთხოვნილება. ამავე დროს საშენე მასალათა მრეწველობის სამინისტრო და მშენებლობათა საქმეთ უსამაბას არ ეწევიან, რომ აგური შეცვალონ სხვა მასალით: თეფამის ტუფით, მსუბუქი ბეტონის ბლოკებით, ფიდა-ბეტონით და სხვა. სრულიად არასაკმაოდ ხდება კირ-პუცოლანის ცემენტის ამას წინათ ამუშავებული ქარხნის პროდუქციის გამოყენება. მშენებლებმა უფრო გაბედულად უნდა გამოიყენონ ეს ძვირფასი მასალა საბინაო მშენებლობაში და ამით შეამცირონ მწვავედეფიციტური პორტლანდცემენტის ხარჯვა. სერიოზულად უნდა გარდაიქმნას მუშაობა ადგილობრივი საშენი მასალების მოპოვების დარგში. თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების (განყოფილების უფროსი ამხ. ნოსელიძე) საკარიერო სამმართველო ცუდად აწყობს ინერტული მასალების მოპოვებას, არ იღებს ზომებს მისი ეკონომიზაციისათვის.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხს. ჩვენი ახალი საცხოვრებელი სახლები მოხერხებული და ლამაზი უნდა იყოს. მაგრამ ამ მოთხოვნილებას ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია ანგარიშს არ უწევს. სამუშაოთა წარმოების ელემენტარული წესების სერიოზული დარღვევანი დაუშვეს დიმიტროვის სახელობის ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (განყოფილების უფროსი ამხ. ჩიქოანი), თბილისის სამთო-სამშენებლო ტექნიკუმის მშენებლობამ (მშენებლობის უფროსი ამხ. გოგაცა) და ქალაქის სხვა ორგანიზაციებმა და მშენებლობებმა.

ასეთი ფაქტები ხდება იქ, სადაც სწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა , სამუშაოთა მთელი მსვლელობა მიანდეს სიოჯარო ორგანიზაციებს, არ არიან დაინტერესებულნი ამ სამუშაოებით და არ ამოწმებენ მათ. უწყებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ მშენებლობის ვადების ჩაშლისა და შესრულებულ სამუშაოთა ცუდი ხარისხისათვის ისინი პასუხს აგებენ მშენებლების თანაბრად.

ამ უკანასკნელ დროს მთელმა რიგმა სამშენებლო კანტორებმა, უბნებმა და ობიექტებმა მუშაობის ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს, რომელიც ფართოდ უნდა გავრცელდეს. მაგალითად, სარეკორდო მოკლე ვადაში — 6 თვეში აშენდა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს (სამმართველის უფროსი ამხ. ჩიკვაიძე) სამაორთულიანი საცხოვრებელი სახლი, 9 თვეში აშენდა ორსართულიანი ტუჩიანი ლოკომოტივ-სარემონტო ქარხნის ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი (მშენებლობის უფროსი ამხ. ტაგანაშვილი), და 15 თვეში აშენდა შესრულებულ, სამუშაოთა ჩინებული ხარისხით, ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი პლეხანოვის პროსპექტისა და მარჯანიშვილის ქუჩის კუთხეში (თბილმშენის ტრესტის მმართველი ამხ. მორტკი, მშენებლობის უფროსი ამხ. კიკნაძე, სამუშაოთა მწარმოებელი ამხ. დარჩიაშვილი).

მოწონაგე გამოცდილება მით უფრო წარმატებით გავრცელდება, რაც უკეთ მოეწყობა ადგილებზე, მშენებლობებზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. როგორც შემოწმებამ ცხადყო, მეტწილ მშენებლობებზე არ არის პარტიული ორგანიზაციები, იქ კი, სადაც არის, **მათი** შემადგენლობა ძალიან ცვირფრცხვენილია. პარტიული ორგანიზაციები შექმნილია უმთავრესად დიდ სამშენებლო ტრესტებთან და სამმართველოებთან.

სამმართველოებისა და ტრესტების პარტიულ კრებებზე და პარტბიუროების სხდომებზე არ იხილავენ მუშაობის ჩქარი მეთოდების დანერგვის, სამუშაოთა ხარისხის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, სამშენ მასალათა ეკონომიის საკითხებს. პარტიულ კრებებს ეშვიათად იწვევენ და ისინი, როგორც წესი, დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ტარდება. საქმაოდ მშენის თბილისის სამშენებლო სამმართველოში 1948 წლის აგვისტოში შემდგარი პარტიული კრების შემდეგ, კრება მოიწვიეს მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ, ისიც პარტბიუროს შემადგენლობაში დამატებითი არჩევნების და რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატების არჩევნების საკითხებზე. ხშირად პარტიულ კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებები ზოგადი, განყენებული ხასიათისაა.

მშენებელ მუშათა შორის სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. არ ტარდება ლექციები და მოხსენებები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, საერთაშორისო მდგომარეობის, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების საკითხებზე.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. ზამბახიძე პარტიის რაიონული კომიტეტების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა საუწყებო საბინაო მშენებლობის საკითხების სისტემატიური განხილვა. **პარტიის რაიკომები ისეთსავე პასუხს აგებენ მშენებლობებზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის, როგორსაც ამ მუშაობის მდგომარეობისათვის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში.** თბილისის პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მშენებელთა კოლექტივების მთელ მუშაობას გეგმიან დავალებათა შესრულებისათვის, უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა პარტიისა და მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში.

ხელმძღვანელობენ რა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის და XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებით, თბილისის მშენებლები გარდამქმნიან თავიანთ მუშაობას და ღირსეულ ადგილს დაიჭერენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლეულის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის მებრძოლთა რიგებში.

* * *

ამხ. ზამბახიძის მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 11 ამხანაგი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. **ვ. ბარბაჩაძემ** აღნიშნა საბინაო მშენებლობის გახუხრული ზრდა რაიონში, სადაც თავმოყრილია ქალაქის ბევრი დიდი საწარმო. განსაკუთრებით გამოიცოცხლდა ამ უკანასკნელ დროს ლოკომოტივ-სარემონტო ქარხნის დაბის მშენებლობა. მაგრამ სამუშაოთა დამთავრების ვადები და ხარისხი ბევრ მშენებლობაზე ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნილებებს. საჭიროა მიღებულ იქნას ქმედითი ზომები კირთვის საფლობის ქარხნის საცხოვრებელი სახლისა და ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საერთო საცხოვრებლის რაც შეიძლება მალე საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის, სადაც მშენებლობის დამთავრების ვადები რამდენჯერმე გადადიდა. ამხ. ბარბაჩაძე სამართლიანად აკრიტიკებს ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელებს იმისათვის, რომ ისინი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ახალი საბინაო მშენებლობის გაჩაღებას თბილისის რკინიგზის კვანძში.

დიმიტროვის სახელობის ქარხნის დირექტორი ამხ. **ი. ხვედელიანი** ამბობს, რომ ქარხანა ყოველთვიურად აძლიერებს საბინაო მშენებლობის ტემპს. მიუხედავად ამისა, ამ მშენებლობის მიმდინარეობისა და განაკუთრებით მისი ხარისხისადმი მედგი კონტროლი არ ყოფილა. ამხ. ხვედელიანმა განაცხადა, რომ მიღებულ იქნება ყველა ზომა, რათა ახალი საცხოვრებელი სახლები ვადაზე გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საბინაო მშენებლობის თბილისის ობიექტებზე, როგორც თავის დამისეულობაში მინისტრმა ამხ. **გ. რობაჯიძემ** განაცხადა, 1949 წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 151 პროცენტით. ათვისებულია 700 ათას მანეთზე მეტი. მაგრამ ეს სახსრები დაქსაქსული აღმოჩნდა ბევრ ობიექტზე. ჯეროვანი ეფექტი ვერ მივიღეთ: გახელილ კვარტალში არც ერთი სახლი არ იქნა გადაცემული საექსპლოატაციოდ. ამხ. რობაჯიძემ განაცხადა, რომ ახლა იღებენ ზომებს ამ სერიოზული ნაკლის აღმოსაფხვრელად, სახსრებსა და ძალებს თავს უყრიან გადამწყვეტ მშენებლობებზე.

დიდ ორგანიზაციად გაიზარდა ერთი წლის წინათ შექმნილი საქშახტმშენის თბილისის საშენებლო სამმართველო. ახლა იგი მუშაობას აწარმოებს 10 მოედანზე, მას ჰყავს საკუთარი კადრები, აქვს მექანიზმები, დამხმარე საამქროები. სამმართველოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა და ვალდებულებას კისრულობს, რომ 1949 წლის გეგმას 7 ნოემბრისათვის დაამთავრებს. ამავე დროს სამმართველოს უფროსი ამხ. **გ. გოგაცა** იძულებული იყო ეღიარებინა, რომ სამმართველოსა და მის მშენებლობათა მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლოვანებაა: ძალიან დაბალია სამუშაოთა მექანიზაცია, რაც მხოლოდ 57 პროცენტს შეადგენს. არადამაკმაყოფილებლადა ორგანიზებული შრომა, აღმოუთხვრილი არ არის სამუშაოთა ტექნიკურად უეცოდინარად წარმოების ფაქტები.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. **ვ. პაატაშვილი** ამბობს, რომ საჭიროა თბილისს მშენებლობებზე ფართოდ გამოყენებულ იქნას ახალი საშენი მასალები. მაგალითად, ძვირფას საკედლე მასალას წარმოადგენს თეფამის ტუფი, რომლის ტრანსპორტირებაც თბილისში რკინიგზის შტოს გაყვანის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაადვილდა. საჭიროა აგრეთვე უცემენტო ბეტონების ბლოკების წარმოების ორგანიზაცია და ფართო გამოყენება, რომელიც წარმატებით ცვლის აგურს. დეფიციტური ხე-ტყის მასალის ხარჯვის შეკირეების მიზნით საჭიროა მოეგაწყოთ თბილისის სამშენებლო დეტალების გამოშვება. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მარნეულის ბაზალტი, როგორც ძვირფასი მოსაპირკეთებელი ქვა.

საქსავთის მოიჯარადარეგ თბილისში საცხოვრებელი სახლების შენებლობაზე არის სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროს მე-11 სამშენებლო ტრესტი. საქსავთის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსმა ამხ. **ბ. ჭელიძემ** გააკრიტიკა მშენებლები სამუშაოთა ნელი ტემპისა და დაბალი ხარისხისათვის. მაგრამ პლენუმზე გამოირკვა, რომ თვით დამკვეთელიც ცუდად ზრუნავს საბინაო მშენებლობისათვის, მან მეთვალყურის როლი დაიკავა და ვერ ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას სამუშაოთა მიმდინარეობისადმი.

თბილქალაქპროექტის მმართველმა ამხ. **ა. თევზაძემ** აღიარა, რომ საუწყებო საბინაო მშენებლობის არასაკმაო ტემპებისათვის დანაშაულის დიდი ნაწილი ეკისრებათ დამპროექტებლებს. ისინი დროზე არ ასრულებენ ტექნიკურ დოკუმენტაციას, არ მუშაობენ მშენებლობის სტანდარტიზაციისა და ტიპიზაციის საკითხზე. ამხ. თევზაძე ამბობს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ავტორთა ზედამხედველობა პროექტების პრაქტიკული განხორციელებისადმი, უზრუნველყოფილ იქნას პროექტების ავტორთა ნამდვილი საქმიანი კავშირი მშენებლობებთან.

ლოკომოტივსარემონტო ქარხნის მშენებლობის უფროსმა ამხ. **ვ. ტაგანაშვილმა** განაცხადა, რომ საბინაო მშენებლობის პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და ილაპარაკა გაჩაღებულ საპრივედმაისო შეჯიბრებაში მშენებელთა აქტიურ მონაწილეობაზე.

კომუნალურ-საბინაო მშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **გ. მრელაშვილმა** ილაპარაკა ქალაქის მშენებლობებზე პროფკავშირული მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ.

„ზაკავკაზსბიტის“ სამმართველოს უფროსმა ამხ. **ს. ზარიამ** გააკრიტიკა საქშახტმშენის თბილისის სამშენებლო სამმართველოს მუშაობა, რომელმაც გაჯიანურა ახლოს მშენებლობა ბარათაშვილის ქუჩაზე. მაგრამ, როგორც ამ გამოსვლამ ცხადყო, ნაკლოვანებანი მშენებლობის მიმდინარეობაში დროზე იქნებოდა აღკვეთილი, დამკვეთელსა და მოიჯარადარეს შორის მუშაობაში ნამდვილად საქმიანი, შეთანხმებული მუშაობა და ურთიერთ პასუხისმგებლობა რომ ყოფილიყო სახლზე რაც შეიძლება დაჩქარებით საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

კამათში გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **მ. ლელაშვილი.** მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს საქალაქო საბჭო თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს საუწყებო საბინაო მშენებლობისადმი დახმარების ნაკლებობის დარგში. მაგრამ ნაკლოვანებანი საქალაქო საბჭოს განყოფილებათა მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია. მშენებლობის ტიპიზაციისა და სტანდარტიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ქალაქის ყველა საცხოვრებელი სახლის დაპროექტება დაევალოს თბილქალაქპროექტს და გაძლიერდეს ეს ორგანიზაცია. საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადიდდა აგურის გამოშვება, მაგრამ აგურის ნაკლებობა ჯერ კიდევ დიდია. უნდა აშენდეს ანალი ძმლავრი მექანიზებული აგურის ქარხანა ღრმაღელვში, რისთვისაც საჭიროა, კოოპერაციულ საფუძველზე, გაიერთიანონ თავიანთი ძალები და სახსრები საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და მთელმა რიგმა დიდმა უწყებებმა. გადაჭრით უნდა მოწესრიგდეს საკადრიერო მუშრნობა. საქალაქო საბჭოს აღმასკომს დასახული აქვს ჩაატაროს ამ მთელი რიგი შრომატევადი სამუშაობის მეშენიერება. ამხ. ლელაშვილი ამბობს, რომ საჭიროა ფართოდ გავრცელდეს ქალაქის მშენებლობებზე ნაკადურ-ჩქარი მეთოდები. კერძოდ, ეს მეთოდები წარმატებით უნდა იქნას გამოყენებული სანპიროზე ახალი სახლების მშენებლობაზე, რაც წელს დაიწყება. მშენებლობის მოწინავე მეთოდების დანერგვას ხელი უნდა შეუწყოს მშენებლობათა მოწინავე მეგობლების სისტემატურმა გაზიარებამ. ამ მხრივ უნდა ავამაღლოთ მშენებელთა სამეცნიერო ინჟინერ-ტექნიკური საზოგადოებისა და საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის როლი.

ამხ. ლელაშვილმა პირობა მისცა პლენუმის მონაწილეებს, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი შეასრულებს თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს და ყველაფერს გააკეთებს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის საბინაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

თბილისში საუწყებო საბინაო მშენებლობის მიმდინარეობის შეაახ

მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის უხვი მოსავლის მოსაყვანად!

გურჯაანის რაიონის მევენახეთა მიმართვა საქართველოს სს რესპუბლიკის მევენახეობის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენს რაიონში ვაზის კულტურას მთავარი ადგილი უკავია. საუკეთესოდ ხარობს ვაზის ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა: რქაწითელი, საფერავი, მწვანე. მევენახეობა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა.

ამ ბოლო წლებში ჩვენ თვალსაჩინოდ გავაუმჯობესეთ ვაზის მოვლა, ამტკიცებ უხვ მოსავალს ვიღებთ. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები დიდად ალფაფოთოვანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების დაწესებისა და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. ამ სტალინურ მზრუნველობას მევენახეობის აღმავლობისათვის ჩვენ ვუპასუხეთ ახალი შრომითი აღმავლობით. მევენახეობის შემდგომი განვითარებისა და ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ჩვენს ბრძოლას საფუძვლად უდევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილება „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“.

შარშან ჩვენ საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებთან ერთად პირობა მივეცით დიდ სტალინს, რომ მოვიყვანდით ყურძნის უხვ მოსავალს. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ფართოდ გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაება მევენახეობის 134 ბრიგადა და 552 რგოლი. აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცედ დაცვით, შრომის სწორი ორგანიზაციით და სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით შარშან ჩვენმა რაიონმა 4.500 ჰექტარი ფართობის ოქტომბრის ერთ ჰექტარზე მოიყვანა 41 ცენტნერი ყურძენი. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ყურძნის უხვი მოსავალი მოებულია არა მხოლოდ ცალეული ნაკვეთებიდან, არამედ დიდი ფართობებიდან. მაგალითად, ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ 66 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 56,3 ცენტნერი ყურძენი, აქედან 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 82 ცენტნერი.

გურჯაანის კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციამ“ 65 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, 20 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე კი 100 ცენტნერი.

სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 69 ცენტნერი ყურძენი.

გურჯაანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ი. ქაჩლაშვილის ბრიგადამ 14 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

კარდანახის კოლმეურნეობა „წითელი მარანის“ ამხ. ნ. ტატალოშვილის ბრიგადამ 16 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 57 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ამხ. გ. მამათელაშვილის ბრიგადამ 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 75 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის გ. ბაცაშვილის რგოლმა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 101 ცენტნერი ყურძენი.

ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა მ. მექვეკრიშვილმა 303 ცენტნერი ყურძენი მოიწია მთლიანად 3 ჰექტარ ვენახში.

მერგოლურმა გ. კაკალაშვილმა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 102 ცენტნერი ყურძენი.

ველისციხის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ა. მიტაჩაშვილმა 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 107 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 50 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 61 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. მეურნეობის მერგოლურმა დ. მინდორაშვილმა 3,23 ჰექტარი ვენახიდან მოიწია სულ 368 ცენტნერი, ხოლო მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარზე 138 ცენტნერი ყურძენი.

გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნინო ელიზბარაშვილმა მისთვის მიჩენილ 1 ჰექტარზე 114 ცენტნერი ყურძენი მოიწია.

შარშან ჩვენმა რაიონმა სახელმწიფოს 63.000 ცენტნერი ყურძენი ჩაბარა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 51.000 ცენტნერისა. ჩაბარებული ყურძნის ფასისა და პრემიის სახით კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს 18 მილიონზე მეტი მანეთი.

1948 წელს გავაშენეთ 85 ჰექტარი ახალი ვენახი. მეიხრიანობის ლიკვიდაციის მიზნით გადავაწყვინეთ და გამოვრგეთ 330.000 ძირი ვაზი.

ახლა ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ ეს მიღწევები და ვიბრძოლოთ უფრო დიდი მოსავლის მოსაყვანად. წელს საბჭოთა მევენახეების წინაშე დასმულია საბრძოლო ამოცანა მთელ ფართობზე მოიყვანონ უხვი მოსავალი.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ დაადასტურეთ პარტიულ ორგანიზაციებს, სასოფლო-სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზებს გაუთმაობესონ ვენახების მოვლა და გაამლეერონ ახალი ვენახების გაშენების ტემპი, ვენახების ფართობი 1955 წლის დამლევისათვის აიყვანონ 75.000 ჰექტარამდე, რისთვისაც სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანონ ვაზის არსებული სადეკები.

ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად ვებმეგით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობთ 1955 წლამდე გავაშენოთ 2.500 ჰექტარი ახალი ვენახი.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მევენახეობის კოლმეურნეობებს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სპეციალისტებს მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაება მევენახეობის 134 ბრიგადა და 552 რგოლი. აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცედ დაცვით, შრომის სწორი ორგანიზაციით და სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით შარშან ჩვენმა რაიონმა 4.500 ჰექტარი ფართობის ოქტომბრის ერთ ჰექტარზე მოიყვანა 41 ცენტნერი ყურძენი. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ყურძნის უხვი მოსავალი მოებულია არა მხოლოდ ცალეული ნაკვეთებიდან, არამედ დიდი ფართობებიდან. მაგალითად, ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ 66 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 56,3 ცენტნერი ყურძენი, აქედან 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 82 ცენტნერი.

ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის ბ. ბაცაშვილის რგოლმა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 101 ცენტნერი ყურძენი.

ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა მ. მექვეკრიშვილმა 303 ცენტნერი ყურძენი მოიწია მთლიანად 3 ჰექტარ ვენახში.

მერგოლურმა გ. კაკალაშვილმა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 102 ცენტნერი ყურძენი.

ველისციხის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ა. მიტაჩაშვილმა 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 107 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 50 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 61 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. მეურნეობის მერგოლურმა დ. მინდორაშვილმა 3,23 ჰექტარი ვენახიდან მოიწია სულ 368 ცენტნერი, ხოლო მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარზე 138 ცენტნერი ყურძენი.

გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნინო ელიზბარაშვილმა მისთვის მიჩენილ 1 ჰექტარზე 114 ცენტნერი ყურძენი მოიწია.

შარშან ჩვენმა რაიონმა სახელმწიფოს 63.000 ცენტნერი ყურძენი ჩაბარა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 51.000 ცენტნერისა. ჩაბარებული ყურძნის ფასისა და პრემიის სახით კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს 18 მილიონზე მეტი მანეთი.

1948 წელს გავაშენეთ 85 ჰექტარი ახალი ვენახი. მეიხრიანობის ლიკვიდაციის მიზნით გადავაწყვინეთ და გამოვრგეთ 330.000 ძირი ვაზი.

ახლა ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ ეს მიღწევები და ვიბრძოლოთ უფრო დიდი მოსავლის მოსაყვანად. წელს საბჭოთა მევენახეების წინაშე დასმულია საბრძოლო ამოცანა მთელ ფართობზე მოიყვანონ უხვი მოსავალი.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ დაადასტურეთ პარტიულ ორგანიზაციებს, სასოფლო-სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზებს გაუთმაობესონ ვენახების მოვლა და გაამლეერონ ახალი ვენახების გაშენების ტემპი, ვენახების ფართობი 1955 წლის დამლევისათვის აიყვანონ 75.000 ჰექტარამდე, რისთვისაც სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანონ ვაზის არსებული სადეკები.

ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად ვებმეგით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობთ 1955 წლამდე გავაშენოთ 2.500 ჰექტარი ახალი ვენახი.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მევენახეობის კოლმეურნეობებს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სპეციალისტებს მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის, რომ სამშობლოს ყოველწლიურად მივცეთ მეტი ყურძენი და მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო.

ჩვენი მხრივ პირობას ვიძლევით 1949 წელს ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად განვახორციელოთ შემდეგი ღონისძიებანი:

1. გავაშენოთ 100 ჰექტარი ახალი ვენახი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 ჰექტარისა, მეიხრიანობის ლიკვიდაციის მიზნით გადავაწყვინოთ და გამოვრგოთ 600.000 ძირი ვაზი;

2. ვენახების მთელი ფართობი აგროტექნიკურ ვადებში მოვხნათ და მწკრივებში დავბაროთ, ზაფხულში ვენახები გავთოხნოთ სამჯერ და ვაქონიოთ სუფთა მდგომარეობაში;

3. 750 ჰექტარ ვენახში შეეტანოთ თვითეულ ჰექტარზე სულ მცირე 50 ტონა ორგანული სასუქი;

4. დაწესებულ ვადაში დავამთავროთ ვენახების გასხვლა, ვაზი გავსხლათ გამოცდილი მევენახეების საშუალებით, ვენახების მთელ მწკრივს გავუბათ მავთული ან შეეუდგათ ბოგო;

5. ბრიგადებში და რგოლებში უფრო განვამტკიცოთ დისციპლინა, ფართოდ დავნერგოთ ჯგუფური და ინდივიდუალური სანარდო სისტემა;

6. გადავჭრით გავაუმჯობესოთ ვაზის მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიზნით მოვაწყოთ:

ა) ვენახების მთლიან ფართობზე შაბიანის ხსნარის 4—5-ჯერ შესხურება და გოგირდის სულ მცირე 3-ჯერ შეფრქვევა ვადების ზუსტად დაცვით;

ბ) თანმიმდევრული ბრძოლა დაავადების კერებში ვაზის ცრუფარაანის წინააღმდეგ, ვაზის შტამბის გასუფთავება და ნავთკირის ემულსიის წასმა;

გ) კვირტს ჭიის წინააღმდეგ კომბინირებული ხსნარით წამლობა, პარიზის მწვანესთან ერთად ბორღოს სითხის შესხურება პირველი და მეორე წამლობის დროს და ამასთანავე კვირტის ჭიის ხელით შეგროვება;

7. მოვამზადოთ 150 მყნობელი და ვაზის 120 მსხვილელი. უზრუნველყოთ პირველი ხარისხის ნამყენი ვაზის გამოსაყალიბებლად სულ მცირე 45 პროცენტით;

8. 1949-1950 წლებში ვენახების გაშენების გეგმის უზრუნველსაყოფად 22 ჰექტარზე მოვაწყოთ ვაზის სანიმუშო სანერგე მეურნეობა და წელს დავამყნოთ 2 მილიონ 200 ათასი ძირი ვაზი, აქედან კოლმეურნეობებში — 1,5 მილიონი, საბჭოთა მეურნეობებში — 700.000 ძირი;

9. გავაშენოთ 10 ჰექტარი ვაზის სადედე, ხოლო არსებული სადედეების 109 ჰექტარი ფართობი ვიქონიოთ სანიმუშო მდგომარეობაში, თვითეულ ჰექტარზე შევტანოთ 70 ტონა სასუქი, მოვაწყოთ ნიადაგის ღრმად დამუშავება და ვაზის ზრდა-განვითარების პერიოდში სამჯერ ჩავატაროთ ყლუტვიცია, საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ სულ მცირე 30 ათასი ცალი სტანდარტული ლერწი;

10. 4.500 ჰექტარი ვენახის თვითეული ჰექტარზე მოვიყვანოთ 42 ცენტნერი ყურძენი, აქედან 1.300 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 45 ცენტნერი;

სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში 65 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 70 ცენტნერი ყურძენი, ხოლო 23 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 105 ცენტნერი;

გურჯაანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 75 ცენტნერი ყურძენი 38 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე, 95 ცენტნერი 25 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“—75 ცენტნერი ყურძენი 66 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე და 120 ცენტნერი 25 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

სოფელ კარდანახის კოლმეურნეობა „წითელ მარანში“—85 ცენტნერი 20 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

სოფელ ჩუმლაყის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 100 ცენტნერი 20 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში — 65 ცენტნერი 51 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას ს. მამიდაშვილის ბრიგადაში— 80 ცენტნერი 11 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის თამარ პაპუნაშვილის, გიგა ბაცაშვილის და ნიკოლოზ შანყოფაშვილის ბრიგადებში — 115-120 ცენტნერი ათასი ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

ველისციხის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ამხ. ა. მამისაშვილის ბრიგადაში — 80 ცენტნერი 12 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

მუკუზნის კოლმეურნეობა „ბლეთა გაერთიანების“ ნ. გოგიევის ბრიგადაში — 70 ცენტნერი 13 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე, ი. გოგიევის რგოლში — 110 ცენტნერი 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ს. ბასილაშვილის რგოლში — 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი;

გურჯაანის მეშვიდე კონგრესის სახელობის კოლმეურნეობის ი. ყვირალაშვილის რგოლში — 330 ცენტნერი 3 ჰექტარზე მთლიანად;

მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის ამხ. დ. მინდორაშვილის რგოლში — 130 ცენტნერი 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე;

კარდანახის საბჭოთა მეურნეობის ამხ. გ. ხელაშვილის ბრიგადაში — 55 ცენტნერი 20 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე, გ. ხუციშვილის რგოლში — 85 ცენტნერი 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე, გ. ბაღაშვილის რგოლში — 100 ცენტნერი 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე.

ამხანაგებო! ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ჩვენ ბეჯითად ვიმუშავებთ, გამოვიყენებთ მოწინავე მევენახეთა გამოცდილებას. ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ მოვიპოვოთ 1950 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის სპატიო უფლება.

მთელ ჩვენს მუშობის ასე წარმართავთ, რომ არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა, ბრიგადა, რგოლი. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით ჩამორჩენილებს გავუტოლებთ მოწინავეებს და მივალწევთ საერთო აღმავლობას. განუზრელად შევასრულებთ იმ საბრძოლო ამოცანებს, რაც მევენახეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის დაგვისახა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ.

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ყურძენი, მეტი მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინო!

ვიყოთ იმ მბრუნველობის ღირსი, რომელსაც მევენახეობის აღმავლობასაში იჩენენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად დიდი სტალინი!

გაუმარჯოს უხვი მოსავლის ოსტატებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ბრძენ ბელადს, ჩვენს მეგობარსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

მიმართვა განხილული და მიღებულია გურჯაანის რაიონის მევენახეთა კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, ოქტომბრის რაიონულ შეკრებაზე და სპეციალისტების რაიონულ შეკრებაზე და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

---

50 ჰექტარი ახალი ვენახი

ახალციხე. (საკ. კორ.). წელს რაიონში 50 ჰექტარი ვენახი უნდა გაშენდეს. კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა საკარიდამო ნაკვეთის ფართობების საკუთარი კაზის ნამყენით უზრუნველსაყოფად სოფელ აწყურის სტალინის და კლდის ბერის სახელობის კოლმეურნეობებში მოეწყო ვაზის სათბურები. მარტო აწყურის ვაზის სათბურმა წელს უნდა გამოიყვანოს 300.000 ძირი ილოგოტესა და ჩინური ჯიშის ვაზის ნერგები. ამ კოლმეურნეობამ უკვე მოამზადა ვაზის 30 მყნობელი კოლმეურნე. სულ რაიონში მომზადებული 160 ვაზის მყნობელი და 50 ვაზის მსხვილელი.

ევკალიპტი — მოძმე რესპუბლიკებს

ხობი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებიდან უკრაინისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში გაიგზავნა ეკალიპტის ნერგების პირველი პარტია. მარტო უკრაინას გაეგზავნა 50.000 ძირი.

ნერგების გაგზავნა გრძელდება.

ვ. მაიაკოვსკი

ამერიკა

ერთეულის ბიბლიოთეკა

როცა ამბობენ „ამერიკა“, გონებას წარმოდგება ნიუ-იორკი, ამერიკელი ძიები, მუსტანგები, კულიჯი და ჩრდილო ამერიკის ბეგრეულები შტატების სხვა კუთვნილებანი.

უცნაურია, მაგრამ მართალია.

უცნაურია იმიტომ, რომ მთელი სამი ამერიკაა: ჩრდილო, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს მთელი ჩრდილოეთიც არ უკავიათ—და აი დაბე! — ჩამოართვეს, მიისაკუთრეს და შეითვისეს ყველა ამერიკის სახელი.

მართალია იმიტომ, რომ თავისთვის ამერიკის დარქმევის უფლება შეერთებულმა შტატებმა მოიპოვეს ძალით, დრედნოუტებითა და დოლარებით, შიშის ზარი დასცეს მეზობელ რესპუბლიკებსა და კოლონიებს.

ჩემი ხანმოკლე, სამ თვეს ყოფნის დროს ამერიკელები თავის რკინის ბუშტს ცხეირში სჩრიდნენ მექსიკელებს მთივე საკუთარი წიაღისეულის ნაციონალიზაციის მექსიკური პროექტის გამო; მაშველ რაზმებს უგზავნიდნენ რომელიღაც მთავრობას, რომელსაც ვენესუელელი ხალხი ერეკებოდა; არა ორაზროვნად აგრძნობინებდნენ ინგლისს, რომ, თუ ვალი არ გადაიხადა, შეიძლება აწუწუნდეს პუერის კანადა; ესევე სურდათ ფრანგებისათვის, და სიფრანგეთის ვალის გადახდის შესახებ კონფერენციის წინ ხან თავის მფრინავებს გზავნიდნენ მაროკოში ფრანგების დასაბარებლად, ხან უეცრად მაროკოელთა მოყვარულნი ხდებოდნენ და ჰუმანური მოსაზრებით უკადე იწყვდნენ მფრინავებს.

რუსულად რომ ვთარგმნოთ: ფულს ჩამოდი—მფრინავებს მიიღებ.

რომ ამერიკა და ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები ერთი და იგივეა — ყველამ იცოდა. კულიჯმა გაიფრმა მხოლოდ ეს სამე ერთ-ერთი უკანასკნელი დეკრეტით და თავის თავს და მხოლოდ თავის თავს უწოდა ამერიკელები. ამაოა სპარტაცესტო ლრიალი მრავალი ათეული რესპუბლიკის და სხვა შეერთებული შტატებისა (მაგალითად, მექსიკის შეერთებული შტატები), რომლებიც ამერიკას ქმნიან. სტატეა „ამერიკა“ ახლა საბოლოოდ ანექსირებულია.

მაგრამ რა იმალება ამ სიტყვებში?

რა არის ამერიკა, ვინაა ეს ამერიკელი ერი, რა არის ამერიკული სულისკვეთება?..

* * *

ოცდაათი წლის წინათ, როცა ვ. გ. კოროლენკომ ნიუ-იორკი დაინახა, უბის წიგნაკში ჩაიწერა:

„ქვაფლში ნაპირზე მოჩანდა ექვს და შვიდსართულიანი უზარმაზარი სახლები...“.

თხუთმეტი წლის წინათ ნიუ-იორკში ნამყოფი მაქსიმ გორკი გვაცნობებს:

„ბევრდულ წვიმაში, ნაპირზე მოჩანდა თხუთმეტ და ოცსართულიანი სახლები“.

მე კი, რათა არ გამოვსულიყავი, ცხადია, მწერალთა მიერ მიღებულ ჩვეულებათა ფარგლიდან, ასე უნდა დამეწყო:

„ალმაცერა ქვაფლში შეიძლება დაინახოთ ასე ორმოც და ორმოცდაათსართულიანი სახლები...“.

ხოლო მომავალი პოეტი ასეთი მგზავრობის შემდეგ ჩასწერს:

„გამოუოკვეველი რაოდენობის სართულიანი, სწორი სახლების იქით, რომლებიც ნიუ-იორკის ნაპირზე აღმართულან, არ ჩანდა არც ქვაფლი, არც გვერდულა წვიმა და არც, მით უმეტეს, რაღაც ოდნავი ბოლი“.

ამერიკელი ერი.

მასზე უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმეზე, შეიძლება ვთქვათ ერთ-ერთი პირველი რეგოლუციური პლაკატის სიტყვებით:

„არიან სხვა და სხვა ამერიკელები, ზოგი პროლეტარია, ზოგი კი ბურჟუა“.

ჩაკაგოელ მილიონერთა შვილები ბავშვებს ოცავენ ცნობისმოყვარეობის გამო (ლოგისა და კომპანიის საქმე), სასამართლო მათ არანორმალურად ცნობს, უნარჩუნებს ძეიდფას სიცოცხლეს, და „არანორმალურები“ /არსებობენ საპატიმროების ბიბლიოთეკების გამგეებად და თანაპატიმრები აღტაცებაში მოჰყავთ ჩინებული ფილოსოფიური თხზულებებით.

მუშათა კლასის დამცველებისათვის (ვანცეტისა და სხვა ამხანაგების საქმე) გამოიქვეთ სასიკვდილო განაჩენები, — და მთელ კომიტეტებს, რომლებიც მოწყობილია მათს გადასარჩენად, ჯერჯერობით არ ძალუძთ შტატის გუბერნატორს გააუქმებინონ განაჩენი. ბურჟუაზია შეიარაღებული და ორგანიზებულია. კუ-კლუქს-კლანი საყოფაცხოვრებო მოვლენა გახდა.

ნიუ-იორკელი მკერავები კლანების სამსაკარადო ყრილობის დღეებში აქვეყნებდნენ რეკლამებს და მაღალი ქუდებისა და თეთრი ხალთების შემაკვეთლებს ასე იტყუებდნენ:

— ველკომ, კუ-კლუქს-კლან!

ქალაქებში ზოგჯერ ცნობილი ხდება, რომ ამა და ამ ატამანმა მოკლა ვიღაც და ჯერაც არ შეუპყრიათ, მეორემ (ვგარს არ ახსენებენ) გააუპატიურა უკვე მესამე ქალაქელი და ავტომობილიდან გადმოაგდო, და ისიც ქალაქში სრულიად უბოროკილოდ დაიარება. საბრძოლო კლანურ ორგანიზაციასთან ერთად არსებობენ მშვიდობიანი მასონური ორგანიზაციები. ასითასი მასონი, ჭრელი ალმოსავლური ტანსაცმლით მორთული, თავის დღესასწაულის დღეს ფილადელფიის ქუჩებში დაეხეტება.

ამ არმიას შეუნარჩუნებია ლოყები და იერარქია, წინანდებურადვე ესაუბრებიან ერმანძეების საიდუმლო ნიშნებით, რომელიღაც თითით ყილეტის რომელიღაც ღილთან მანიპულაციით, შეხვედრისას სახავენ საიდუმლო ნიშნებს, მაგრამ ნამდვილად ამ არმიის მეტი ნაწილი დიდი ხანია გახდა იმ დიდვაჭრებისა და ფაბრიკანტების თავისებური აღრიცხვა-განაწილების განყოფილება, რომელიც ამერიკის მინისტრებსა და უმნიშვნელოვანეს მოხელეებს ნიშნავს. შესაძლოა, უცნაური იყოს ამ საშუალო საუკუნეობის დანახვა, რომელიც ფილადელფიის ქუჩებში დაიარება გაზეთ „The Filadelfia inguirer“-ის სტამბის ახლოს, რომელიც სარეკლამო მანქანებით საათში 450.000 ცალ გაზეთს ისვრის.

ამ თბილი კომპანიის გვერდით უცნაურია არსებობა ლეგალიზებული, ცხადია, უკეთესი მეთვალყურეობისათვის, ამერიკის მუშათა კომპარტიისა და უფრო უცნაური არსებობა პროფესიული კავშირებისა, რომლებიც ბრძოლას ბედავენ.

ჩიკაგოში ჩემი ჩასვლის პირველ დღეს, სიცივეცა და კოკისპირულ წვიმაში, ასეთი მხეცური სურათი ვნახე.

უზარმაზარი ფაბრიკის შენობის გარშემო შეუწერეტელე დაიარებიან დასვეულებული, გამმდარი, სიცივეთ გაყინული ადამიანები, ხოლო ქვაფენილებიდან ფხიზლად იცქერიან ახოვანი, ჩასუქებული, დამაკინტოშებული პოლისმენები.

ფაბრიკაში გაფიცვაა. მუშებმა უნდა გარეკონ შტრაიკბრეხერები და აცნობონ მოტყუების გზით დაქირავებულთ.

მაგრამ გაბერების უფლება მთ არა აქვთ — გაბერებულს პოლიცია დაუპატიმრებს მუპაეტეების წინააღმდეგ კანონების საფუძველზე. ილაპარაკე სიარულისას, ურტყი სიარულისას. ჩქარი სიარულის ათი საათის თავისებური ბანი სამუშაო დღე.

არანაკლებ მწვავეა ამერიკაში ეროვნული ურთიერთობა. მე უკვე ვწერდი ამერიკაში უცხოელთა მასაზე. (ეს მასა, რა თქმა უნდა, უცხოელთა გაერთიანებაა ექსპლოატაციის, სპეკულაციისა და ვაჭრობისათვის), — ისინი იქ ათ წლობით ცხოვრობენ, არ კარგავენ არც ენასა და არც ზნე-ჩვეულებას.

ებრაელ ნიუ-იორკში ახალ წელს, სულ ისე, როგორც შეუღიანში, შეგიძლია ნახო საქორწილოდ, თუ ფერადი ფოტოსურათის გადასაღებად გამოწყობილი ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები: ლაკის ფეხსაცმელი, მოყვითალო წინდები, თეთრარაშიანი ტანსაცმისა, ჭრელი თავსაფარი და ესპანური საყარაცხელი თმაში — ქალებისათვის; ხოლო მამაკაცებისათვის ისეთივე ტუფლები, რაღაც სერთუკის, ფიფაკაცისა და სმოკინგის ნარევი და მუცელზე ან ნამდვილი, ან ამერიკული ოქროს ძეწკვი ან ჯაჭვის ოდენობისა და წონისა, რომლითაც ბანდიტებს უკანა ყარეს უკეტავენ ხოლმე. სამსახურის ხელშემფარველ ხოლიანი შალები ბურავეთ. ბავშვებს აქვთ ასობით მისაოცი ღია ბარათი, რომელებზეც გამოხატულია გული და მტრედები — ღია ბარათები, რომლებიც ამ დღეებში ამძიმებენ ნიუ-იორკის ყველა ფოსტალოონს და რომლებიც ყველა დღესასწაულს დღეს ყველა უნიეფრსალური მაღაზიის ერთადერთი ფართო მოხმარების საქონელია.

მეორე რაიონში ასევე განკერძოებულად ცხოვრობენ რუსები, და ამერიკელები ამ რაიონის საანტიკვარო მაღაზიებში დაიარებიან ეგზოტური საგრეხილ საყიდლად.

ამერიკის ენა ბაბილონის გოდლის შენების ენაა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ ენებს ურევდნენ, რათა არავის გაეგო, აქ კი ურევენ, რათა ყველამ გაიგოს. ამის შედეგად ინგლისურიდან, ვთქვათ, გამოდის ისეთი ენა, რომელიც ყველა ერს ესმის, გარდა ინგლისელისა.

ტუუნლად კი არ არის ნათქვამი, რომ ჩინურ დუქნებში შეგიძლიათ დაინახოთ წარწერა:

„აქ.

ლაპარაკობენ ინგლისურად

და ესმით ამერიკულად“.

* * *

ამერიკელი თავის თავს უწოდებს თეთრს, რომელსაც ეგრაელიც კი შეკანონად მიაჩნია, რომელიც ზანგს ხელს არ ართმევს; როცა ზანგს თეთრ ქალთან დაინახავს, ზანგს რევოლვერით ერეკება შინ... თვითონ დაუსჯელად აუპატიურებს ზანგ გოგონებს, ხოლო თეთრ ქალთან გაელილ ზანგს ლინჩის წესით ასამართლებს, ე. ი. ბლეულს ხელებს, ფეხებს და ცოცხლად წვავს კოცონზე...

რატომ უნდა ჩავთვალოთ ამერიკელებად ესენი და არა ზანგები, მაგალითად?

ზანგები, რომელთაგანაც წარმოდგება ავრეთვე ეგრეთწოდებული ამერიკული ცეკვა — ფოქსი და შიმი და ამერიკული ჯაზი! ზანგები, რომლებიც ბეჭდავენ ბევრ მშვენიერ ჟურნალს, მაგალითად, „Opportunity“. ზანგები, რომლებიც ცდილობენ დაამყარონ ურთიერთობა და კიდეც ამყარებენ მსოფლიოს კულტურასთან, და რომლებიც პუშკინს, ალექსანდრე დიუმას, მხატვარ ჰენრი ტენსა და სხვებს, თავისი კულტურის მუშაკებად თვლიან...

სულისკვეთება ამერიკულიც კი, უსხეულო საკანია, თითქმის საკანიც კი არ არის: კანტორებს არ ქირაობს, საქმესორტოდ სულტად გადის, ტანაეს არ იკავებს,—და თუ რამეს თვითონ ხმარობს, ხმარობს მხოლოდ ვისკის და ისიც არა ამერიკულს, არამედ შემოტანილს.

ამიტომ სულისკვეთება ნაკლებ ანტერესებთ, და ისიც უკანასკნელ დროს, როცა ბურჟუაზიას ექსპლოატაციის ავაზაკური პერიოდის შემდეგ გაეჩნდა ერთგვარი შვიდი, დინჯი გულკეთილობა, ბურჟუაზიული პოეტების, ფილოსოფოსების, მხატვრების ერთგვარი ცხიმიანი ფენა.

ამერიკელებს შურთ ევროპის სტილი. მათ ძალიან კარგად ესმით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკადრო). 9 აპრილს პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა განხილვა საკითხისა აფრიკაში იტალიის ყოფილი კოლონიების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა წინანდელ სხდომებზე თავიანთ სიტყვებით ცხადყვეს, რომ არსებობს აშკარა შეთანხმება იტალიის ყოფილი კოლონიების შემდგომ ბედის შესახებ. მათ არ ეცდიათ თუნდაც რამდენადმე ესაროსულად დასაბუთებინთ თავიანთი პოზიციები და აშკარად იმედოვნებდნენ, რომ გენერალური ასამბლეის ხმათა უმრავლესობა უზრნველყოფდა მათთვის და რომ მათი პრეტენზიების დამტკიცება იტალიის კოლონიების საკითხში გენერალურ ასამბლეაში თოლ ფორმალობად გადაიქცევი.

ვრცელ, კარგად დასაბუთებული სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ.

გრომიკომ გაიხსენა იტალიის ყოფილი კოლონიური სამფლობელოების ბედზე მოლაპარაკების ისტორია და აღნიშნა, რომ ეს საკითხი არა თუ გადაჭრილი, არამედ სრულიადაც არ არის შეთანხმებული ოთხ სახელმწიფოს — სსრ კავშირისა, ამერიკის შეერთებული შტატებსა, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის, თუმცა საკმოთა მთავრობას არაერთგზის გადაუდგამს ნაბიჯი, რათა ეს საკითხი სამართლიანად ყოფილიყო გადაწყვეტილი, როგორც ამ ტერიტორიების მოსახლეობის სასარგებლოდ, ისე საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების სასარგებლოდ.

გრომიკომ აღნიშნა, რომ იტალიის კოლონიების საკითხზე ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების დროს ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, მოქმედებდნენ რა ერთობლივად, ცდილობენ მიეღებინონთ თავიანთი პროექტები, რომელთა თანახმადაც იტალიის თითქმის ყველა კოლონია ფაქტიურად უნდა გადასულიყო დიდი ბრიტანეთის კონტროლში, თუმცა ამისათვის არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა და არ არსებობს.

გრომიკომ მოიყვანა ფაქტები, დაიმოწმა დოკუმენტები და ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს მთავრობები ცდილობდნენ გაეშინაურებინათ, ხოლო შემდეგ ჩაეშალათ რეკომენდაციების შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის, ამავე დროს ისინი სეპარატულ მოლაპარაკებას ეწეოდნენ იმ ტერიტორიების გაყოფაზე და ხელშეკავლობენენ არა საერთაშორისო მშვიდობის ინტერესებით ან იმ ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესებით, არამედ საკუთარი სამხედრო-სტრატეგიული და სხვა გეგმებით.

სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობათა იმ ერთობლივ დეკლარაციაში აფრიკაში იტალიის ტერიტორიული სამფლობელოების საკითხზე, რომელიც მეთერთმეტე დამატების სახით შეტანილი იტალიასთან დადებულ საზავო ხელშეკრულებაში, — გაანაცხადა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა,—აღნიშნულია, რომ იტალიის კოლონიების ბედის საკითხის გადაჭრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამ ტერტორიების მოსახლეობის სურვილი და კეთილდღეობა, ისე როგორც მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები. იტალიის ყოფილი კოლონიების საკითხზე ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მოლაპარაკების მთელმა მსვლელობამ ცხადყო, რომ არც ამერიკის შეერთებულთა შტატების მთავრობას, რომელს წარმომადგენელნი გიორგიანეულთა ერებს ორგანიზაციისი ხალისათ წარმოთქვამენ მაღალფარდოვან სტუკეებს, რომ სურთო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, არც დიდი ბრიტანეთის მთავრობას და არც საფრანგეთის მთავრობას არაფერი არ გაუკეთებია ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციაში აღნიშნული ამ დიადი ამოცანების განსახორციელებლად.

გრომიკომ ამბილი იტალიის კოლონიების შესახებ ამპერიალისტური შეთანხმების მონაწილეთა — ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ნამდვილი განზრახვა და აღნიშნა: ეს გეგმები მოწმობენ, რომ არსებობს ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეების ზორსგამზრახული დამპყრობლური მისწრაფება, რომელებიც სრულიადაც არ არიან დაინტერესებულნი კოლონიური ხალხების კეთილდღეობით.

გრომიკომ მოიყვანა ვრცელი დოკუმენტალური მასალები, რომელებიც იმას მოწმობენ, რომ ინგლისსა და საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციამ იტალიის ყოფილ კოლონიებში ოწვევეს მათს გადაღებაებს, შიშმილს, შიშს კოლონიურ ხელისუფალთა თვითნებობის წინაშე. ეს მასალები ცხადყოფენ, თუ რა ნგრევასა და დაქვეითებას განიცდის ლიბიის, ერტრეასა და იტალიის სომალის ეკონომიკა ამ ქვეყნებში ინგლისსა და საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციების ბარაბნის ზედგან.

გრომიკომ მოიყვანა აგრეთვე ამერიკელი თვალსაჩინო პოლიტიკური მემიმხლველების აზრი, რომ იტალიის კოლონიების საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებმა, უეწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელობენ თავისი სამხედრო-სტრატეგიული გეგმებით, რომელნიც მომართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყველი ეს ფაქტი ცხადყოფს,—თქვა გრომიკომ,—რომ დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი ცდილობენ რადაც უნდა დაუკდეთ შეთანხმენონ ინდოეთის ყოფილი კოლონიები, რათა ეს ტერიტორიები გამოიყენონ სამხედრო-სტრატეგიულ ბაზებად აგრესიული გეგმების განხორციელებისათვის. ეს გეგმები უკანასკნელ დროს გამოხატულნენ პოვენენ სხვადასხვაგვარი აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შეკოწიწებით, რომელებიც მომართულია სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამ სახელმწიფოთა ასეთი პოლიტიკა მომართულია აგრეთვე იმისაკენ, რომ სამედამო გახადონ კოლონიური ჩაგრა იტალიის ყოფილ კოლონიებში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა იტალიის ყოფილი კოლონიების შესახებ გამოაქვეყნა სსრ კავშირის მთავრობის შემდეგი წინადადებანი:

„ლიბიის დამოუკიდებლობა მიენიჭება ათი წლის გასვლის შემდეგ. ამ პერიოდის განმავლობაში მისი მართვა მოეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად ეს შეთანხმება გათვალისწინებს ადმინისტრატორს, რომელსაც ექნება სრული ადმისრულებელი ხელისუფლება და რომელიც დაინიშნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის საბჭოს მიერ და პასუხისმგებელი იქნება ამ საბჭოს წინაშე. ადმინისტრატორთან იქნება შვიდი კაცისაგან შემდგარი საკონსულტაციო კომიტეტი, რომელშც შევალ შეერთებული სამეფოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, საფრანგეთის, იტალიის, შეერთებული შტატების წარმომადგენლები და ლიბიის ეროვნული ბ ერ ი ბ ი ს ა , რ ო მ ლ ი ს ა ც ა ბ ა ტ ი ნ ა , ბ ა ტ ი ნ ა , ბ ა ტ ი ნ ა ,